

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მიზნით შექმნილი  
ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომის  
ოქმი N5

2021 წლის 30 სექტემბერს თსუ-ს I კორპუსის N202 აუდიტორიაში, 17:00 საათზე შეიკრიბა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მიზნით შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისია

სხდომას ესწრებოდნენ:

თეა წითლანაძე, ვასილ ბარამიძე, მერი კაპანაძე, მიხეილ ჭილაძე, ცისანა გავაშელი, აკაკი მიქაბერიძე, ზვიად მურადაშვილი.

დღის წესრიგი:

1. საარჩევნო უბნების ადგილმდებარეობის განსაზღვრა

თეა წითლანაძემ კომისიას წარუდგინა ინფორმაცია საარჩევნო უბნების ადგილმდებარეობის განსაზღვრის შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდა საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

**კენჭისყრის შედეგები:**

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:**

განისაზღვროს საარჩევნო უბნების ადგილმდებარეობა შემდეგნაირად:

- **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - თსუ-ის I კორპუსი**  
I უბანი - აუდიტორია N201; II უბანი - აუდიტორია N216;
- **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - თსუ-ის IV კორპუსი**  
I უბანი - აუდიტორია N309; II უბანი - აუდიტორია N213;
- **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი - თსუ-ის III კორპუსი**  
I უბანი - აუდიტორია N304; II უბანი - აუდიტორია N311;
- **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - თსუ-ის XI კორპუსი**  
I უბანი - აუდიტორია N318; II უბანი - აუდიტორია N331;
- **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - თსუ-ის X კორპუსი**  
I უბანი - აუდიტორია N206; II უბანი - აუდიტორია N208;
- **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, ტურიზმის სკოლა - თსუ-ის IX კორპუსი**  
I უბანი - აუდიტორია N111;
- **იურიდიული ფაკულტეტი - თსუ-ის II კორპუსი**  
I უბანი - აუდიტორია N105; II უბანი - აუდიტორია N106;
- **მედიცინის ფაკულტეტი - მორფოლოგიის ინსტიტუტი**  
I უბანი - აუდიტორია N204;

2. ხარვეზის შევსებისათვის გაფრთხილების/შეტყობინების ფორმისა და ვადის წესის განსაზღვრა

აკაკი მიქაბერიძემ კომისიას წარუდგინა წინადადება საარჩევნო პროცედურების წარმართვისას ხარვეზის შევსებისათვის შესაბამის სუბიექტთა გაფრთხილების/შეტყობინების ფორმისა და ვადის განსაზღვრის თაობაზე.

კომისიის სხდომაზე წევრებმა გაიზიარეს ის არგუმენტი, რომ აღნიშნული საკითხის რეგულირება მნიშვნელოვანია არჩევნებისათვის დამახასიათებელ მჭიდრო ვადებში პროცესების შეუფერხებლად და მყისიერად წარმართვისათვის.

ცესკოს წევრები სხდომაზე შეთანხმდნენ ხარვეზის შევსების გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგ ფორმაზე:

ხარვეზის შევსების გაფრთხილების/შეტყობინების წერილობით ფორმის გარდა განისაზღვროს ტელეფონით (მათ შორის, მობილური ტელეფონით; მოკლე ტექსტური შეტყობინებით), ელექტრონული ფოსტითა ანდა სხვა ტექნიკური საშუალებებით შეტყობინების ვალდებულება.

ტექნიკური საშუალებებით მხარის დაბარება დასტურდება:

ა) მის მიერ მითითებულ საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე დაკავშირებით;

ბ) ელექტრონული ფოსტის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების შემთხვევაში – შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით. აღნიშნული წესით დადასტურების მიღებისას მხარე დაბარებულად ითვლება. მხარე ასევე დაბარებულად ჩაითვლება, თუ შეუძლებელია მასთან საჩივარში მითითებული ტექნიკური საშუალებებით დაკავშირება (მობილური ტელეფონის, კომპიუტერის გამორთულ მდგომარეობაში ყოფნის გამო და სხვ.).

ტექნიკური საშუალებებით მხარის დაბარებისას დგება აქტი, რომელსაც ამზადებს ცესკოს აპარატი და ხელს აწერს ცესკოს მდივანი.

გარდა აღნიშნული საკითხისა, კომისიის წევრებმა იმსჯელეს ხარვეზის შევსების ვადის განსაზღვრაზე და აღნიშნეს, რომ კენჭისყრის დღემდე განსახორციელებელ საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით კომისია (ყოველ კონკრეტულ პროცესთან/დონისძიებასთან დაკავშირებით) განსაზღვრავს გონივრულ ვადას.

ამასთან, საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარვეზების შევსებისათვის კომისიამ განსაზღვრა 2021 წლის 1 ოქტომბრის 16:00 სთ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდა საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

### **დაადგინეს:**

განისაზღვროს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული საარჩევნო

პროცედურებისათვის ხარვეზის შევსების გაფრთხილების/შეტყობინების ფორმისა და ვადის წესები განკარგულების შესაბამისი დანართით.

3. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატთა რაოდენობა, გამოვლენილი ხარვეზები და ხარვეზების შევსებისათვის ვადის განსაზღვრა

ზვიად მურადაშვილმა კომისიას წარუდგინა ინფორმაცია არჩევნებში პასიური საარჩევნო უფლებით მონაწილეობისათვის წარმოდგენილ განაცხადთა რაოდენობისა და გამოვლენილი ხარვეზების თაობაზე.

გარდა აღნიშნულისა კომისიამ იმსჯელა, საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციასთან გამოვლენილი ხარვეზებისათვის ვადის განსაზღვრის შესახებ.

ცესკომ არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს ხარვეზების შესავსებად განუსაზღვრა ვადა ა.წ. 1 ოქტომბრის 16:00სთ-მდე.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდა საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

#### **დაადგინეს:**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით განაცხადი წარმოადგინა 143 სტუდენტმა, მათ შორის წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ხარვეზი დაუდგინდა 15 კანდიდატს და მიეცა გამოსწორების ვადა ა.წ. 1 ოქტომბერს 16:00 საათამდე.

კომისიის თავმჯდომარე



თეა წითლანაძე

კომისიის მდივანი



ზვიად მურადაშვილი